პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТИ გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 150 (19592) ◆ კვირა, 29 ივნისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

შროვითი ქრონიკა

მეფრინველეთა ფასტი

ბორი. (საკ. კორ.). მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკაში სიახლეა: აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა კვერცხის ფქვილის დამამზადებელი დანადგარი, რომლის მწარმოებლობა დღეღამეში 30 ათასი ცალი კვერცხია.

კვერცხის ფქვილის პირველი პარტია საკონდიტრო საწარმოებმა უკვე მიიღეს და მის ხარისხს მაღალი შეფასება მისცეს.

განვლილი ხუთი თვე მეფრინველეებმა ბეჯითად იმრომეს და საგეგმოზე ორი მილიონ 185 ათასი ცალით მეტი კვერცხი აწარმოეს. რეალიზებულია ხუთი თვის სახელმწიფო დავალებასთან შედარებით 31 ტონით მეტი ფრინველის ხორცი.

მეჯვრისხეველმა მეფრინველეებმა გადაწყვიტეს წლის დავალება 7 ნოემბრისათვის შეასრულონ. ხოლო წლის ბოლოსათვის გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 10 მილიონი ცალი კვერცხი და 140 ტონა ფრინველის ხორცი.

თამბაქოს პირველი მოსავალი

ხულო. (საკ. კორ.). რაიონის სოფლის ეკონომიკაში თამბაქო წამყვანი კულტურაა, ამიტომაც მის მოვლა-მოყვანას განსაკუთრებული ყურადღება იქცევა. ახლა რაიონში ცოტა როდია მეთამბაქოე, რომელსაც ერთ ტონაზე მეტი თამბაქო მოჰყავს.

უამინდობის მიუხედავად, რაიონის მთელ რიგ სოფლებში უკვე შეუდგნენ თამბაქოს ფერჩევით შეტეხვას. დღეს ხულო, მოწინავე მეთამბაქოეებმა გ. ბოლქვაძემ, ე. კოჩიაშვილმ, ო. ბოლქვაძემ და სხვებმა პირველ დღეებში [illegible] ტონა [illegible] მეტი თამბაქო შეტეხეს და ანესულ [illegible] ბურში, დიდჭარაში და სხვა კოლმეურნეობებში.

ბილეთების ფასდაკლება

დამზადება — 86

როცა პარკი მზად არის...

ძველი მოსავლელია აბრეშუმის ჭია. 'უამრავი თავსატეხი სამუშაოა შესასრულებელი, ვიდრე ჭია აბრეშუმს დაახვევს და პარკში მოექცევა. მერე კი, როცა პარკი მზად არის, არც მისი ცახებიდან გადარჩევაა იოლი. წლეულს კი უფრო მეტი სამუშაოს შესრულებამ მოუწიათ მეაბრეშუმეებს, რადგან უამინდობაში თუთის ფოთლის მოპოვება ერთობ გაუჭირდათ. მაგრამ ძვირფასი ნედლეულის წარმოებისათვის ზრუნვა მეაბრეშუმეობის რაიონებს არ შეუსუსტებიათ.

ლაგოდეხი. კარგი მოვლა-პატრონობითა და გარჯით რაიონის მშრომელებმა ავდარს სძლიეს და აბრეშუმის პარკი უხვად აწარმოვეს. ნაცვლად 3.000 ცენტნერისა, სახელმწიფოს მიეყიდა 3.050 ცენტნერი აბრეშუმის პარკი, რაც რესპუბლიკაში დამზადებული პარკის 17 პროცენტია. პარკის დამზადება გრძელდება.

მეძვსი თვის გეგმა — ვადამდე

ფულაკიძე. რაიონის მეცხოველეებმა ვადაზე ერთი კვირით ადრე შეასრულეს ხორცისა და რძის დამზადების ექვსი თვის გეგმები. ნაცვლად 400 ტონისა — სახელმწიფოს 480 ტონა ხორცი მიეყიდა, ხოლო რძე — ნაცვლად 1030 ტონისა 1050 ტონა. დამზადება გრძელდება.

პარტიის რაიკომი და კადრები

ლეს მთელი ჩვენი ქვეყანა დიდი გარდაქმნების პროცესშია. ამ ბეჯითმეტყველ ხუთწლედში კი ჩვენი წარმატებები, ჩვენი წინაფიქრების ენერგიის გადაქცევა მოქმედების ენერგიად უშალოდ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ სრულვყოფთ მართვას, რთულ სამეურნეო მექანიზმს. ამიტომ საქმე ეხება უწინარესად ადამიანის ფაქტორს, აქტიურ საკადრო პოლიტიკას.

ბოლო დროს ჩვენს რესპუბლიკაში პასუხსაგებ, ხელმძღვანელ პოსტებზე ბევრი ახალი, თანამედროვე ყაიდის, ენერგიული და ინიციატივიანი მუშაკი დაწინაურდა. მათ შესწევთ უნარი შემოქმედებითად გამოიყენონ მართვის მოწინავე მეთოდები, მეცნიერულად მიუდგნენ შეტად ფართო წრის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრას. კადრების შერჩევის, მათი ყოველგვარი გადაადგილების კრიტერიუმი კი, როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე ერთხელ კიდევ აზვგასმით აღინიშნა, ასეთია: მუშაკის პოლიტიკური და საქმიანი თვისებები, ნიჭი, რეალური მიღწევები, ადამიანებისადმი დამოკიდებულება.

აი მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის ნახევარი თითქმის გავიდა, ხოლო სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმიდან, რომელშიც საზოგადო დაფიქრების სტრატეგიას, — ნელი-ნელზეც მეტი; ეს დრო საკმარისია იმისათვის, რომ ვაკვირდეთ, შევნიშნოთ, შევაფასოთ კოლექტივები, რომლებშიც უნარიანი მუშაკების ხელმძღვანელობით პირველ დამაიმედებელ შედეგებს მიაღწიეს გარდაქმნების არცთუ იოლ გზაზე; პრაქტიკული საქმეები თავისთავად ლაღადებს: კარგი ორგანიზატორი, ჭეშმარიტი მეურნე დღეს ის არის, ვინც გარდაქმნა დაიწყო საკუთარი თავით, ვინც სწრაფად შეეცალა ახროვნებისა და ფსიქოლოგიის, მუშაობის სტილისა და მეთოდების სტერეოტიპებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, როცა გაიხსენა ქ. ტოლიატის მშრომელებთან თავისი გამოსვლა, აღნიშნა: „ახლა როცა ჩაღდება მუშაობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, განსაკუთრებით უნდა ვაფასებდეთ ნოვატორული სულისკვეთების ადამიანებს, მით უმეტეს, რომ ყველას მოუწოდებთ, კი არ ელოდონ, არამედ იმოქმედონ. არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ინიციატივიანი კაცი ხშირად არ ეპუება მოძველებულ ინსტრუქციებს, რომლებიც არ შეესაბამება ახალ ამოცანებს. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მაძიებელი, შემოქმედი ადამიანები ძნელ მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ, მარცხი არ განიცადონ“.

საამისოდ კი განსაკუთრებული მზრუნველი დამოკიდებულება მართებთ ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს. კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას ხომ პარტიული მუშაობის სულსა და გულს უწოდებენ. ბევრი საყურადღებო მაგალითის მოყვანა შეიძლება ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებიდან, როცა სულ უფრო უმჯობესდება ხელმძღვანელ მუშაკთა თვისებრივი შემადგენლობა, როცა მრომითი კოლექტივების სათავეში მოდიან ნაზრიანი, კომპეტენტური, პატიოსანი და ენერგიული ადამიანები. მათს დიდ უმრავლესობას აქვს უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლება, მინდობილ სამუშაოს რომ შეესაბამება, ბევრმა სპეციალურის გარდა პარტიულ-პოლიტიკური განათლებაც მიიღო და პრაქტიკული მუშაობის სკოლაც გაიარა. ხელმძღვანელ მუშაკთა შორის პროპორციულად და ფართოდ არის წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ეროვნების მცხოვრებნი. პასუხსაგებ თანამდებობაზე აქტიურად აწინაურებენ ქალებს.

დაჩქარებით ხორციელდება რესპუბლიკური მიზნობრივი პროგრამა „კადრები“. მეცნიერების თანამედროვე მიღწევებისა და მოწინავე ტექნიკის საფუძველზე ხელმძღვანელი კადრების კომპეტენტურობის გაზრდისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები შემოქმედებითად იყენებენ კადრების აღზრდისა და წრთობის ბევრ საინტერესო ფორმასა და მეთოდს. ცოტა როდი გაკეთდა ისეთი ატმოსფეროს შესაქმნელად, როცა კადრებისადმი ნდობა და პატივისცემა შესაბამებულია პრინციპულ მომკითხველობასთან, მათი საქმიანობის შედეგების კრიტიკულ შეფასებასთან. კიდევ უფრო მწვავედ გაჩაღდა ბრძოლა სხვადასხვაგვარი ნეგატიური მოვლენების, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დარღვევების წინააღმდეგ, ამაღლდა საშემსრულებლო დისციპლინის დონე.

მაგრამ ფაქტები იმასაც მეტყველებს, რომ სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად საკადრო პოლიტიკის დარგში მიმდინარე გარდაქმნას სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები აქვს. შეიძლება პირდაპირ ითქვას, კადრებთან მუშაობის საკითხები არ გამხდარა მთავარი და განმსაზღვრელი ბევრი პარტიული კომიტეტის საქმიანობისათვის. ისინი ხშირად გასაოცარ ლიბერალიზმს იჩენენ მუშაკთა დაწინაურებისა და გადაადგილებისას დაშვებული შეცდომებისადმი, ამ მხრივ სუბიექტივიზმის, პარტიული პრინციპების უგულებელყოფის ფაქტებისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საფუძველიანად შეისწავლა და გააანალიზა ზოგიერთი საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტის საქმიანობა ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და განაწილებაში დაშვებული უხეში დარღვევების გამო. მაგალითად, სწორედ მომთხოვნელობის შენელებამ, უყრინდიობამ და ნაყრუებამ იმ პირებისადმი, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას, იტაცებდნენ და ანიავებდნენ სოციალისტურ საკუთრებას, და საერთოდ, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუარესებამ, რამაც განაპირობა რაიონის ეკონომიკის სერიოზული ჩამორჩენა, პარტიის წესკომის რაიკომის და მისი ყოფილი პირველი მდივნის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალა.

როგორც წლეულს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმზე აღინიშნა, მეტად სერიოზული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ იმ დანაშაულებრივი შეცდომებიდან, რომლებიც დაუშვეს კადრების საკითხის გადაწყვეტისას სიღნაღის, თელავის, მახარაძის, თიანეთის, მცხეთის და ზოგიერთმა სხვა პარტიულმა ორგანიზაციამ.

ამ დღეებში ძალიან მწვავე, პრინციპული შეფასება მიეცა თბილისის კალინინის რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების აპარატში კადრების შერჩევისა და დაწინაურების მიდგარ, მანკიერ პრაქტიკას. აქ ხშირად თანამდებობებზე მუშაკებს ნიშნავდნენ პროტექციით, ტელეფონის ზარის ერთი დარეკვით, პირადი ერთგულების, ნათესაობისა და ძმობიჭობის ნიშნებით და არა მათი პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებების მიხედვით.

სამწუხაროდ, კადრებისადმი ნდობა არცთუ იშვიათად იცვლება უკონტროლობითაც. ზოგჯერ საეჭვოდ მფარველობენ, იცავენ ამა თუ იმ მუშაკს კრიტიკისაგან, კუდა ხარისა და ბუზების არ იყოს, სხვების გაკიცხვასაც უყურეებენ. ბევრგან დაქვეითებულია პირველადი პარტორგანიზაციის როლი, ისინი ასეთი ფაქტებისადმი პრინციპულობას ვერ იჩენენ. არადა, ხელმძღვანელის რა პოსტიც უნდა ეკავოს კაცს, ვერ გაექცევა პარტიული ორგანიზაციის კონტროლს, თუ უყველა პარტორგანიზაცია აქტიურად გამოიყენებს თავისი გავლენის მდიდარ არსენალს, თუ კოლექტივში დაამკვიდრებს, შექმნის ვითარებას, რომელიც განმსჯელული იქნება მოვალეობის დიდი შეგნებით.

მაგრამ არათუ პარტიული კონტროლი არ ხორციელდება, ზოგან კადრების დაწინაურებაშიც დიდი ქაოსი და არევ-დარევაა. არც შრომის წიგნაკი და არც სხვა დოკუმენტები შეუსწავლია, ისე მიიღეს მატერიალურად პასუხსაგებ პოსტებზე მუშაკები ოჩამჩირის რაისამომხმარებელო კოოპერაციული საზოგადოების ობიექტებში. მაგალითად, ამ სამი თვის წინათ ერთ-ერთი მაღაზიის გამგედ დანიშნეს ო. ხარჩილავა, რომელსაც არც პირადი საქმე მოსთხოვეს და არც იმაში გაერკვნენ, რატომ ირიცხება მასზე ვულრიფშის სამომხმარებლო კოოპერაციის სასაქონლო მატერიალური ფასეულობანი. იგი ხომ აქ საწყობის გამგედ შუამობდა, საწყობს კი ხანძარი გაუჩნდა. განა შეიძლება მეტი უყურადღებობა და უპასუხისმგებლობა?!

მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე ვულუნგად ურიგებდნენ წინანდელ სამუშაოებზე სახელგატეხილ პირებს „აეპარატურკომშინაპშიც“, რომლის პარტიულმა ორგანიზაციამ სრული ჩაურეველობის პოზიცია ამჯობინა და თავისი უკონტროლობით შექმნა სხვადასხვა დარღვევის ხელშემწყობი პირობა.

როგორც რედაქციაში შემოსული წერილებიდანაც ჩანს, ხელმძღვანელ კადრებს, მათ შორის სამეურნეო მუშაკებსაც, ზოგან ხშირად ცვლიან. ეს, რა თქმა უნდა, ცუდია. ნიჭიერ, უნარიან მუშაკებს უნდა ვუფრთხილდებოდეთ. მაგრამ როგორ მოვექცეთ იმათ, ვინც ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს? ცხადია, მათ ადგილზე უნდა მოვიდნენ უფრო მომზადებული და ენერგიული სპეციალისტები, ორგანიზატორები, რომელთაც მაღალი პროფესიული, პოლიტიკური და მორალური თვისებები აქვთ. მაგრამ ეს შეცვლა არ უნდა მოხდეს განუკითხავად და განურჩევლად, აჩქარებით, პიროვნების ყოველმხრივი შესწავლის გარეშე. ამიტომაც მოხდა, რომ ჯავის რაიონში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე თანამდებობიდან გაათავისუფლეს ან პასუხისგებაში მისცეს საბჭოთა მეურნეობის 12 დირექტორი. პარტიის რაიკომში ამბობენ, გვიჭირს კადრებიო. მაშ რატომ აქვთ ხელმძღვანელ სამუშაოებზე დასაწინაურებელი რეზერვის საკმაოდ გრძელი სია?

საერთოდ, კადრების რეზერვს ბევრგან ფორმალურად ადგენენ. განა ასე არ იყო ამერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს აპარატში, როცა რკინიგზის უფროსის ცხრა მოადგილიდან არც ერთი არ ყოფილა მომზადებული დასაწინაურებლად?

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების გადაუდებელი მოვალეობა და საქმეა, რომ ყოველნაირად იზრუნონ კადრების მუშაობის სტილის სრულყოფისათვის და, რა თქმა უნდა, ეს ზრუნვა უნდა იყოს ტაქტიანი, არ გასწიონ მათი მაგივრობა, არ დაუშვან წვრილმანი მეურვეობა. პრაქტიკაში დამკვიდრდა ასეთი დასმარების ეფექტიანი ფორმები. ეწყობა, მაგალითად, შესვედრები „მრგვალ მაგიდასთან“, მეცადინეობანი ეკონომიკის საკითხებზე, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, სადაც ხდება შრომითი კოლექტივის გაძღოლის გამოცდილების განზოგადება. თავისი სარგებლიანობა დაამტკიცა პარტიულ კრებებზე, რაიკომის ბიუროსა და პლენუმის სხდომებზე მუშაკთა ანგარიშების მოსმენის პრაქტიკამ, ოღონდ ყველგან თავი უნდა დააღწიონ ფორმალიზმს, რაც, სამწუხაროდ, იშვიათად რდი იჩენს ხოლმე თავს ამ მეტად სერიოზულ საქმეში. ამოცანა ის არის, საფუძვლიანად გავერკვეთ პიროვნების მუშაობის პლუსებსა და მინუსებში, ვურჩიოთ, როგორ უკეთ წარმართოს საქმე, როგორ იმუშაოს უფრო აქტიურად და შემოქმედებითად, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

პარტიული კონტროლი ყველა მუშაკს სჭირდება; პარტორგანიზაციები მათ მუდმივად უნდა უნერგავდნენ ოვითკრიტიკის, თვითკონტროლის, თვითანალიზის უნარს. ზოგ ხელმძღვანელს კი, მათ შორის მაღალი რანგის ხელმძღვანელსაც, აკლია სწორედ ეს ლენინური თვისება, თავის დამსახურებაზე ლაპარაკისას ზომა არ იცის, ყველა გაკეთებულს თავისად მიიწერს ხოლმე. კრიტიკა და თვითკრიტიკა სწორედ ის მძლავრი და ნაცადი იარაღია, რომელიც გაუძლიერებს ჩვენს კადრებს მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობას, დიდ სტიმულს მისცემს იაზროვნონ და იმუშაონ ახლებურად, წარმატებით ჩაბარონ დიდი გამოცდა იმ პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტისას, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ დასახეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 26 ივნისს გამართულ სხდომაზე განიხილა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით ხელმძღვანელი კადრების პარტიულ-პოლიტიკური განათლების სრულყოფის საკითხი, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა სერიოზულად დაიხვეწოს პარტიულ-პოლიტიკური განათლება, გიიზარდოს მისი როლი პარტიული აპარატის ყველა რგოლისათვის კადრების რეზერვის ჩამოყალიბებაში. იმ დროს, როცა საბჭოთა ხალხი შეუდგა პარტიის ახალ საპროგრამო დოკუმენტებში დასახული ამოცანების რეალიზაციას, როცა საჭიროა მთელი პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის გარდაქმნა, პარტიული კომიტეტების უმაღლესი პარტიული სასწავლებლების უმნიშვნელოვანესი საქმეა პარტიული, საბჭოთა, იდეოლოგიური კადრების მასობრივი და ქმედითი იდეურ-თეორიული გადამზადება. დასახულია ამოცანა გადიდეს კადრების მომზადება უმაღლეს პარტიულ სასწავლებლებში ისეთი ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს მიტოვებულ პარტიულ მუშაკთა მიერ პროფესიული პარტიულ-პოლიტიკური განათლების მიღებას. მიცემულია შესაბამისი დავალებანი შეიმუშაონ კადრების მომზადების, უმაღლესი პარტიული სასწავლებლების განვითარების პერსპექტიული გეგმები.

უმაღლეს პარტიულ სკოლებში ფართოვდება ორ-სამ და ოთხწლიან განყოფილებებზე მსმენელთა სწავლება. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში ექმნება დამატებითი შესაძლებლობანი უმაღლესი მეცნიერული კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებლად. ძლიერდება მოთხოვნები ასპირანტთა და მსმენელთა თეორიული და პრაქტიკული მომზადებისადმი. შემუშავებულია პარტიული, საბჭოთა, იდეოლოგიური ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებაში აკადემიისა და უმაღლესი პარტიული სკოლების როლის გაძლიერების ღონისძიებები.

პოლიტბიურომ მოიწონა მთავრობის მიერ შემოტანილი წინადადებანი, რომ დამატებითი შეღავათები მიეცეთ მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების სამინისტროების მეტალურგიულ წარმოებათა მუშაკებს. როგორც შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოთა მრომელებს, მათაც უფრესდებათ დამატებითი ყოველწლიური ფასიანი შვებულებები, ეძლევათ უფლება მიიღონ მოხუცებულობის გამო პენსია გადიდებული მაქსიმალური ოდენობით.

ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა ილაპარაკა ინდოეთის საგარეო საქმეთა და გაჭრობის მინისტრთან პ. შივ შანკართან შეხვედრის შესახებ. პოლიტბიურომ უდიდესი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ დინამიკურად ვითარდება სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის ტრადიციული ურთიერთობა, ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამოქმედება საერთაშორისო ურთიერთობის სულ უფრო დიდი კონსტრუქციული ფაქტორი ხდება. მაღალი შეფასება მიეცა ამ შეხვედრის ნაყოფიერებისა და ინდოეთ-საბჭოთა ურთიერთობათა ლენინურ ბაზაზე, ინდოეთ-საბჭოთა ურთიერთობის ფოტოალბომი, ბროშურა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. თბილისის უნივერსიტეტი მოამზადებს და გამოსცემს ა. გ. შანიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულს. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია და უნივერსიტეტი დაამთავრებენ მეცნიერის შრომების 12-ტომიანი კრებულის გამოცემას.

საიუბილეო ღონისძიებანი გაიმართება ავრეთვე ქალაქებში ქუთაისში, სამტრედიაში და სამტრედიის რაიონის სოფელ ნოღაში.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ. (საკრინფორმი).

29 ივნისი საბჭოთა ახალგაზრდობის დღეა

ახალ-ახალი წარმატებებით ხვდებიან საბჭოთა ახალგაზრდობის დღეს ჩვენი რესპუბლიკის ბაბუკები და ქალიშვილები.

„ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანების დიმიტროვის სახელობის სამმართველოს მამდიდრებელ ფაბრიკაში პრაქტიკაზე იმყოფებიან №129 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოწაფეები. ისინი ფართო ფრონტზე ჩამავალი მამდიდრებლები არიან.

ამ სასწავლებელში ახალგაზრდებს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ილებენ. სწავლების ათი თვის განმავლობაში მამდიდრებლისათვის საჭირო პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ისინი თეორიულ ცოდნასაც ეუფლებიან. სწავლობენ პოლიტეკონომიისა და საბჭოთა სამართლის საფუძვლებს, რუსულ ენას, სრულყოფენ ხაზვას, ერკვევიან გამოთვლით ტექნიკაში და სხვა.



სურათებზე: ზემოხსენებული სასწავლებლის მოსწავლეები ეთერი კაპანაძე და ინგა თოფურიძე; პარტორგანიზაციის მდივანი, ზეინკალი თემური კობახიძე.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

მარაბდა — ახალქალაქი: ოქტომბრის დღესასწაულისათვის



მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზზე მატარებლების სამუშაო მოძრაობის დაწყებით გადაწყვეტეს აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69-ე წლისთავი ქვეყნის ამ ყველაზე მაღალმთიანი ფოლადის მაგისტრალის მშენებლებმა. ტრასა, რომლის სიგრძე 160 კილომეტრია, გადაკვეთს ხუთი რაიონის (— მარნეულის, თეთრი წყაროს, წალკის, ბოგდანოვკისა და ახალქალაქის ტერიტორიებს. მან უნდა დაუკავშიროს მრავალეროვანი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

27 ივნისს მშენებლობაზე იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩიბაძე, ა. გ. გიოლაშვილი, ო ე. ჩერქეზია. მათ მატარებლით იმოგზაურეს მზა მონაკვეთზე სადგურ წალკამდე, შემდეგ კი ტრასის გაყოლებით მიიღწიეს რკინიგზის ბოლო პუნქტს, რომელიც ქალაქ ახალქალაქის სამრეწველო ზონაში მდებარეობს.

მაგისტრალი რთულ გეოლოგიურ და კლიმატურ პირობებში გაჰყავთ. ხშირმა მეწყერებმა და ზვავებმა, ამასწინანდელმა მიწისძვრამ მესხეთ-ჯავახეთში, თოვლმა და თავსხმა წვიმებმა ძალიან გაართულეს მისი გაყვანა. მაგრამ მშრომელები აღსავსენი არიან მტკიცე გადაწყვეტილებით, არათუ არ ჩამორჩნენ დაძაბულ გრაფიკს, არამედ გაუსწრონ ჯიდეკ მას.

მათი სიტყვის რეალურობას საფუძვლად უდევს მშენებლობის ვეტერანების თავდადებული გარჯა, რომლებიც აქ მისი დაწყებიდანვე შრომობენ. ესენი არიან მექანიკოვატორე უშანგ ჩხეიძე, ტრანსპორტის მუშა ოთარ გელაშვილი, ბრიგადირი აბას ველიევი, მეარმატურე ლეონტი მონტინი, მემონტაჟე ჯემალ სებისკვერაძე, ამფეთქებელი გურამ პაპინაშვილი, მეტაკელაძე ომარ გოგიჩაიშვილი, ბევრი სხვა.

სპეციალისტების გამოანგარიშება მოწმობს მთიანი მხარისათვის მაგისტრალის საარსებო საჭიროებას. იგი მოემსახურება რეგიონს, სადაც 230 ათასი კაცი ცხოვრობს, მისი მეშვეობით საიმედოდ იქნება უზრუნველყოფილი ნედლეულით საშენ მასალათა მრეწველობის მომარაგება. 1990 წლისათვის ტვირთბიდვა ახალ გზაზე 7 მილიონ ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს შეადგენს.

რეგიონმა უკვე დღეს იცვალა სახე. რკინიგზამ სტიმული მისცა აქ ახალი ინდუსტრიული და სოციალური ობიექტების მშენებლობას. მაგალითად, საექსპლოატაციოდ გადაეცა თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის ფილიალი თეთრი წყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში, რომელიც წელიწადში 2 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქციას გამოუშვებს, შენდება სამენ შასალათა კარიერები. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ასეთმა მიზანდასახულობამ ბევრად განაპირობა მომავალი ტრასის დიდი რეტაბელობაც: მშენებლობის ხარჯები შვიდ წელიწადზე ცოტა მეტ ხანში ანაზღაურდება.

სადღესასწაულოდ მთავარი ამოცანაა ყოველნაირად დაჩქარდეს სამუშაოთა ტემპი, უზრუნველყოფილი იყოს ჩინებული ხარისხი, აქტიურად ჩამოყალიბდეს მაგისტრალის საექსპლოატაციო კოლექტივები. ამის შესახებ გაიმართა საუბარი თეთრი წყაროს სადგურის უფროსთან ვ. ნ. ორდენიძესთან, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა მეელიანდაგე სპეციალისტებისგან შედგენილ კოლექტივს მეთაურობს, აგრეთვე სხვა სპეციალისტებთან. რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს ვაგზლის ახალი შენობა, სადაც დადგულია მემორიალური დფა, რომელზეც წერია, რომ რკინიგზის მშენებლობა დაიწყო 1979 წელს და მის აგებაში დიდი წვლილი შეტანა იმჟამად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ.

რკინიგზის სადგური წალკა ჯერჯერობით ბოლო პუნქტია, სადამდეც მოძრაობს მატარებლები. იგი აშენებულია რაიონისა და მისი ცენტრის განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით.

(დასასრული მე-2 გვ.).

გაიმართა საუბარი

26 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე ესაუბრა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრს ბ. გალის, რომელიც ჭოსკოვში ჩამოვიდა „მშვიდობისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის“ საბჭოთა კავშირ-აფრიკის სამეცნიერო-პოლიტიკური კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ უაღრესად საჭიროა მთელმა მშვიდობისმოყვარე ძალებმა და სახელმწიფოებმა გააქტიურონ ბრძოლა ბირთვული ომის თავიდან აცილებისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, საერთაშორისო საქმეებში კონფრონტაციიდან მშვიდობიანი თანამშრომლობისა და თანაარსებობისაკენ რადიკალური შემობრუნებისათვის. ამ კონტექსტით ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა მიაღწიონ საერთაშორისო და რეგიონალური კონფლიქტების სამართლიან პოლიტიკურ მოწესრიგებას, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აფრიკაში ომის საფრთხის კერების ლიკვიდაციას.

ორმხრივი ურთიერთობის საკითხთა განხილვისას ორივე მხარემ საჭიროდ მიიჩნია მისი შემდგომი განვითარება სხვადასხვა დარგში ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით.

(საკდესი).

აკაკი შანიძის დაბადების 100 წლისთავისათვის

26 ივნისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა გამოჩენილი ფილოლოგი მეცნიერის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის აკაკი გაბრიელის ძე შანიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებათა მომზადებისა და განხილვის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა.

საიუბილეო ფიქრი მოეწყობა 1987 წლის თებერვალში. გაიმართება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გაერთიანებული საიუბილეო საღამო. ენების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებს მიეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის უნივერსიტეტის სიმპოზიუმი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერები, გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებანი სტუდენტი ახალგაზრდობის და სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით.

შეიქმნება ა. გ. შანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური ფილმი. თბილისის უნივერსიტეტში მოეწყობა გამოფენა „ქართველოლოგიის განვითარების ძირითადი ეტაპები“, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ა. გ. შანიძის მრავალი შრომა. გამოვა სწავლულის ცხოვრებისა და მეცნიერული საქმიანობის ამსახველი ფოტოალბომი, ბროშურა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

თბილისის უნივერსიტეტი მოამზადებს და გამოსცემს ა. გ. შანიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულს. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია და უნივერსიტეტი დაამთავრებენ მეცნიერის შრომების 12-ტომიანი კრებულის გამოცემას.

საიუბილეო ღონისძიებანი გაიმართება ავრეთვე ქალაქებში ქუთაისში, სამტრედიაში და სამტრედიის რაიონის სოფელ ნოღაში.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ. (საკრინფორმი).

მშვიდობისა და აღმშენებლობის სამსახურში

სსრ კავშირის მწერალთა მერვე ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

საქმიან, გულახდილ, მომთხოვნელ ვითარებაში მიმდინარეობდა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის VIII ყრილობის მუშაობა. 28 ივნისს მისი დელეგატები და სტუმრები საბოლოო სხდომაზე შეიყრიბნენ მოსკოვში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

პარტიის XXVII ყრილობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა არსებითად გაუმჯობესდეს დარგობრივი მეცნიერების მუშაობა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „ზოგიერთი დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციის საქმიანობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სკკპ XXVII ყრილობის მიერ დამტკიცებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსის რეალიზაციაში დიდმნიშვნელოვანი როლი გენეკუთვნება დარგობრივ სამეცნიერო-კვლევითს და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს. ამოცანა ის არის, რომ არსებითად გაიზარდოს მათი წვლილი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში, სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ განახლებაში, ახალ სახეობათა დიდმწარმოებლური ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიებისა და მასალების შექმნაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში. ამ ორგანიზაციების მუშაობა უნდა დაუახლოვდეს წარმოების მოთხოვნილებებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დარგობრივ მეცნიერებას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების განვითარებული ქსელი აქვს. ამ დაწესებულებებში თავმოყრილია დიდი სამეცნიერო ძალები და ტექნიკური საშუალებები, და იქ, სადაც მათ უნარიანად იყენებენ, მაღალ შედეგებსაც აღწევენ.

ამასთან ერთად დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მთელი რიგი დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების საქმიანობა ნაკლებ ეფექტიანია, მას არა აქვს შემოქმედებითი ხასიათი და არ ახდენს შესაბამისი გავლენას წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებაზე. უმეტესად სახსრებისა და ძალების დაქსაქსვას, ასრულებენ სამუშაოებს, რომლებსაც არც მეცნიერული, და არც პრაქტიკული ფასი არა აქვთ.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ სამინისტროები და უწყებები ნელა გარდაქმნიან სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დარგობრივი მეცნიერებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის მუშაობას. არ ხორციელდება საჭირო კონტროლი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების საქმიანობისადმი. მათ ხშირად ტვირთავენ სხვადასხვაგვარი ცნობებისა და ანგარიშების შედგენით. ზოგი მათგანი არსებითად სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალური აპარატის დანამატად იქცა. ეს არის აღნიშნულ ორგანიზაციათა მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალის უკიდურესად არადამაკმაყოფილებელი გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ სამინისტროების ცალკეული ხელმძღვანელები არაკრიტიკულად უდგებიან საქმის მდგომარეობას მათდამი დაქვემდებარებულ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში, სათანადოდ ვერ აფასებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რადიკალური დაჩქარების მიზნით მათი მუშაობის უსწრაფესი გარდაქმნის საჭიროებას.

როგორც სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში ჯეროვანი წვლილი არ შეაქვთ ისეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა ქიმიური და ნავთობის, მანქანათმშენებლობის სამინისტროს დაკომპლექტების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს მანქანათმშენებლობის სახელმწიფო საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ქიმიური მრეწველობის სამინისტროს გაერთიანება „ნორპალსტის“ კომპოზიტების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო კომიტეტის ხელსაწყოთმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ყაზახეთის სსრ ფერადი მეტალურგიის სამინისტროს ჯეზყაზღანის ფერადი მეტალურგიის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი, რსფსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საზოგადოებრივი სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის მართვის ავტომატიზებულ სისტემათა სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტების მუშაობა უნაყოფო აღმოჩნდა მეცნიერული თვალსაზრისით და ვერ აკმაყოფილებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მოთხოვნებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს დაკომპლექტების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ჩარხსაშენებლის და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს მანქანათმშენებლობის სახელმწიფო საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაუქმებისა და დადგენილი წესით მუშაკთა შრომამოწყობის შესახებ.

მაგალითად, 1974 წელს შექმნილი დაკომპლექტების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელშიც 320 თანამშრომელია, პრაქტიკულად არ ასრულებს არც სამეცნიერო, არც საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციის ფუნქციებს. აქ არ შექმნილა გამოგონებათა დონის არც ერთი ნამუშევარი, მიმდინარე კვლევა სხვა ინსტიტუტების თემატიკას ადუბლირებს. ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი არ იჩენს ჯეროვან პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისადმი, სისტემატურად უშვებს წმამტებებს სახელმწიფო ანგარიშგებაში. სამინისტროს წყარუებით ამ ორგანიზაციაში ხელოვნურად არის გაზრდილი დიდხელფასიანი პერსონალის რიცხვი: 71 რიგით თანამშრომელზე მოდის სხვადასხვა რგოლის 176 ხელმძღვანელი, ამასთან სამეცნიერო ხარისხი (მეცნიერებათა კანდიდატისა) მხოლოდ 13 კაცს აქვს.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს მანქანათმშენებლობის სახელმწიფო საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სადაც დაახლოებით ათასი თანამშრომელია. აღნიშნული ინსტიტუტი ვერ ასრულებს დარგში მეთაური ორგანიზაციის დაკისრებულ ფუნქციებს. მისი სამეცნიერო საქმიანობა მიზნად ისახავს ვიწროფუნქციონალური ამოცანების გადაწყვეტას მთლიანად მანქანათსაშენებელი კომპლექსის მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლად. ინსტიტუტის სამუშაო გეგმა გადატვირთულია კერძო, მეორეხარისხოვანი თემებით, რომელთაგან ბევრი წლითი-წლობით მეორდება, და მათგან მხოლოდ უაღრესად უმნიშვნელო როდენობის თემები პერსპექტიული და პატენტუნარიანია. ამ ორგანიზაციის ნამუშევრები მიზნად არ ისახავს რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენებას, წარმოების კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. აღნიშნული ინსტიტუტის მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობა უაღრესად მცირეა.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ გამოვლენილი ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად შემოწმებულ ინსტიტუტებთან დასახელებული სამინისტროებისა და უწყებების შეუწყნარებლად სუსტი მუშაობის შედეგია. ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრის ამხ. ბ. ვ. ბალმონტისა და ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილის ამხ. ა. გ. რუეკის ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ სამინისტროები მთელი რიგი წლების მანძილზე არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდნენ აღნიშნულ ინსტიტუტებს, არ ახორციელებდნენ საჭირო ღონისძიებებს მათი საქმიანობის ეფექტიანობის გასაზრდელად. სსრ კავშირის მინისტრებმა ამხანაგებმა ბალმონტმა და ლუკიანენკომ უნდა განიხილონ იმ თანამდებობის პირთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებსაც ამაში ბრალი მიუძღვით.

სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ ძირეულად გარდაქმნან სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაობა, სადაც ამ საკითხის განხილვისას გამოვლენილია სერიოზული ნაკლოვანებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა ყველა სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელებს ღრმად გააანალიზონ დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების საქმიანობა, უზრუნველყონ მათი მუშაობის ძირეული გაუმჯობესება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, გააძლიერონ პასუხისმგებლობა გამოკვლევებისა და ნამუშევრების დონისა და ეფექტიანობისათვის, აგრეთვე პრაქტიკაში მათი შედეგების დანერგვისათვის.



სურათებზე: მემონტაჟეთა ბრიგადირი ზალიკო ჯეირანაშვილი, მშენებელი ოსტატი ელგუჯა ბოჭორიშვილი, მემონტაჟე ნიკოლოზ მოისეენკო, მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მშენებლობის უფროსი გიორგი მამრიკიშვილი, მშენებელი ოსტატი ალექსი ბაიდარაშვილი, მემონტაჟე ალექსანდრე როფკოვსკი და მშენებელი ოსტატი ალექსანდრე ოქრიაშვილი განიხილავენ მომავალ სამუშაოთა გრაფიკს; ცვლის მანძილზე ნორმა-ნახევარს ასრულებს № 39 ხიდის რაზმის ამწის ხაუკეთესო მემანქანე თამაზ მაღრაძე (მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობაზე).

Ш. АИВАЗОВИС ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მარაბდა — ახალქალაქი:

ოქტომბრის დღესასწაულისათვის

(დასასრული)

მუშებთან და სატრანსპორტო მშენებლობის სპეციალისტებთან, იმ რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებთან საუბრისას, რომელთა ტერიტორიაზეც გადის გზა, რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა მოსახლეობის უფრო აქტიურად ჩაბმა მაგისტრალის გაყვანის საარსებო ამოცანათა დაადგენაში. მშენებლობისათვის საყოველთაოსახალხო დახმარების გაწევის საქმეს საათავეში უნდა ჩაუდგნენ ადგილობრივი პარტიული კომიტეტები. მათვე უნდა გაუწიონ კოორდინაცია საერთო ძალისხმევას, დაუწესონ ამ საქმეს ყოველდღიური კონტროლი. მაგალითად, ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონების კომუნისტების ინიციატივით მშენებლობას დამატებით დაახლოებით სამი ათასი კაცი შეემატა. ამავე დროს ამ ადამიანების შრომა სათანადოდ უნდა იქნეს ორგანიზებული და უზრუნველყოფილი. საჭიროა გაიშალოს ქმედითი სოციალისტური შეჯიბრება შრომაში უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის. უფრო აქტიურად მომზადდეს მომავალი რკინიგზის კადრები ადგილობრივი მოსახლეობიდან, უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობის რიგებიდან.

დღესვე უნდა გამოიჩინონ ყოველგვარი ზრუნვა იმათი შრომისა და ყოფის პირობებისათვის, ვინც რკინიგზაზე უნდა იმუშაოს და მატარებელთა მოძრაობა უზრუნველყოს. მაგრამ ამ მხრივ ყველაფერი როდია გაკეთებული. მაგალითად, რკინიგზა მნიშვნელოვან სიმაღლეზე გადის, ზოგან იგი ზღვის დონიდან 2200 მეტრ სიმაღლეს აღწევს. აქ ზოგ თვეში ისეთი ყინვა იცის, რომ ციმბირისას არ დაუდგებს ტოლს. არადა, სადგურების შენობათა აგებისას ამას არ ითვალისწინებენ. დროზე უნდა გამოსწორდეს შეცდომა, რათა ეს გასაკეთებელი არ გაგვიხდეს ექსპლოატაციის პროცესში.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მშენებლებს სათანადო პირობები შევუქმნათ. ჯერაც არ მოგვარებულა ტრასის მუშაკთა ცხელი კერძებით უზრუნველყოფის საქმე. პროდუქტებს მათ ხშირად მშრალ ულუფად აძლევენ, და ამასაც არარეგულარულად. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია — ყველა დაინტერესებულმა ორგანიზაციამ უმოკლეს ვადაში უნდა დაამყაროს წესრიგი მუშათა ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციაში.

მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე დასკვნითი გადამწყვეტი სტადია იწყება. გავა ოთხ თვეზე ცოტა მეტი ხანი და ახალი სატრანსპორტო არტერია ხუთწლედის სამსახურში ჩადგება. გახდება რა ვრცელი მზარეული საწარმოო ძალების მიზიდულობის ცენტრი, იგი უზრუნველყოფს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ ინტენსიფიკაციას, სოციალური ინფრასტრუქტურის დაჩქარებულ განვითარებას.

რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი მშენებლობის ობიექტების დაფეიერებისას კმაყოფილებით აღინიშნა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს, სხვა საკავშირო ორგანოების დიდი დახმარება და მხარდაჭერა, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შეუფერებელ მობილიზებას ყოველგვარი საჭირო მასალით და ტექნიკით.

მაგისტრალის მშენებლობის გაცნობის დროს რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად იყვნენ და გზის მშენებლობისა და ესკპლოატაციის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით განმარტებებს იძლეოდნენ სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ვოლგისპირეთისა და სამხრეთის მთავარსარკინიგზომშენის უფროსი ვ. ტ. ნაროტნეკი, მისი მოადგილე ნ. გ. ბოიცოვი, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრი ბ. ე. სარალაძე, ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მმართველი ლ. ი. მეგრელიშვილი, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის პირველი მოადგილე ი. გ. მელუაძე, კავკასიის ტრანსპორტის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი რ. ს. სიგუა, სხვა საკავშირო ინსტიტუტების (საქინფორმი).

თავსხმა წვიმებმა საგრძნობლად შეაფერხა მიხდვრის სამუშაოები. სტიქიონს თავდადება და შემართება დაუპირისპირეს მარნეულის რაიონის მშრომელებმა. ოდნავ გამოდარებს თუ არა, მინდვრად გადიან, იღებენ საადრეო კარტოფილს, კომბოსტოს, ბოსტნეულს, ნიორს, მზადდება პირუტყვის საკვები. ყველა იმის თადარიგშია, დროზე. და უდანაკარგოდ დაამბნინონ მძიმე პირობებში დიდი შრომის ფასად მოწეული მოსავალი.

მაგრამ რაიონში ნაკლებად იგრძნობა გაზაფხლის, მეორეები წინა წლების შეცდომები. კვლავ უმთავრესი პრობლემაა ავტოტრანსპორტი, რომლის მწყვავე ნაკლებობამ თავი იჩინა მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე.

ყაჩაღნის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში საადრეო კომბოსტო უხვად არის შემოსული. აქ საგეგმო 800 ტონის ნაცვლად 1.500 ტონა პროდუქციის მიღებას ვარაუდობენ, ანუ ჰექტარზე 150 ცენტნერზე მეტს. იგი მთლიანად საკავშირო ფონდში გაიგზავნება.

ყაჩაღნელები ის იყო 6 ჰექტარზე მორჩნენ მოსავლის აღებას, მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ა. გასანოვმა განკარგულება გასცა: გარკვეული დროით კომბოსტოს აღება შეაჩერეთო. მეურნეობის ერთ-ერთ მესვეურს სხვა გამოსავალი არც ჰქონდა. არ გააჩნდათ ავტოტრანსპორტი მახლობელ რკინიგზის სადგურში კომბოსტოს გადასატანად, საიდანაც იგი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იგზავნება. არადა, აღებული მოსავალი კარგავს ხარისხს, ზოგჯერ მთლიანად ფუჭდება. მეურნეობის დირექტორმა ბ. ბაირამოვმა გვითხრა: — ტრანსპორტი რომ გვყოფნიდეს, კომბოსტოს მოსავალს ხუთ დღეში ავიღებდითო. თანაც ამბიდვრის კრეფაც კარზეა მომდგარი, შემდგომ პერიოდში მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბება.

უფრო ღრმად ჩაეწვდით შექმნილ სავალალო მდგომარეობას და რა გამოირკვა: მეურნეობას უკანასკნელი ათი წლის მანძილზე არც ერთი სატვირთო ავტომანქანა არ მიუღია. მთლიანად კი რვა ცალი სატვირთო ავტომანქანა აქვთ და ისინიც სიძველის გამო ხშირად გამოდიან მწყობრიდან. სათადარიგო ნაწილებზეც და ავტოსაბურავებზეც მწვავე ნაკლებობაა. ამ ნაწარმოთ მომარაგება კი გაუმჯობესების ნაცვლად წლითიწლობით უარესდება, — ზოგიერთ დეფიციტურ ნაწილს ბაზებში ვერ იშოვი, სპეკულანტები კი მამასისხლად გვთავაზობენ, — მწარე ირონიით ამბობენ ყაჩაღნში.

ყაჩაღნელებს საჭირო ავტომანქანებს მარნეულის ავტოსატრანსპორტო გაერთიანება უნდა უგზავნიდეს. რომ იტყვიან, აქაც ცოდვა-მადლის განკითხვაა. მეურნეობა ყოველდღიურად შეკვეთილი ავტომანქანების მეხუთედსაც ვერ ღებულობს. არადა, მოსავალი არ იცდის. უტრანსპორტობის გამო იკარგება მისი დიდი ნაწილი. მეურნეობაში ახლაც გულისტკივილით ამბობენ, შარშან ამ მიზეზით ასობით ტონა პამიდორი მინდვრიდან გუთანელი დარჩა და დალპაო. ამ მხრივ ჯერჯერობით წელსაც არაფერი შეცვლილა, რაც მწარე საგონებელში გვაგდებს, ეტყობა უკეთესი დღე არც წელს დაგვადგება, ამბობენ ყაჩაღნელები.

ასეთივე სურათია ყაჩაღნის მეზობელ თაქალოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ აქ კიდევ ჰქონიათ იმედი, რომ მარნეულის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებიდან შეკვეთილ მანქანებს სრულად გამოუგზავნიდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი მანქანა გამოუგზავნეს. ეს ზღვაში წვეთია. მართალია, მეურნეობის ხელმძღვანელობა გულხელდაკრეფილი არ ყოფილა, მათ მეზობელ ხრამისა და აღმამედლის საბჭოთა მეურნეობებს სთხოვეს დახმარება, სადაც მოსავლის აღება ჯერაც არ დაწყებულა, მათაც გამოუწიდეს დახმარების ხელი, სამ-სამი სატვირთო ავტომანქანა გამოუგზავნეს, მაგრამ ერთ დღეს მინდვრად კიდევ დარჩა გადაუზიდავი 200 ტონა მზა პროდუქცია. კაცმა არ იცის, რა ბედი ეწვევა მას. ამავე დროს დორბით აქაც შეაჩერეს კომბოსტოს მოსავლის აღება, მაგრამ როდემდის?

აღარ გავაგრძელებთ ფაქტების დასახელებას. მეტ-ნაკლებად ანალოგიური სურათია სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებშიც. ვერც ერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში ვერ ეტყვიან, რომ მარნეულის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების ხელმძღვანელობა ორაფერად აგდებდეს საზოგადოებრივ მეურნეობათა ინტერესებს, მაგრამ ისინიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ქალაქში გაჩაღებულია ფართო მასშტაბის მშენებლობები, თბილისი და რუსთავი მეტ ინერტულ სამშენებლო მასალებს მოითხოვს, რომელთა გადაზიდვაც ძირითადად მარნეულელ ავტოტრანსპორტელებს უნდებათ. მათი საავტომობილო პარკი კი ყველაფერს ერთად ვერ აუდის. ამაზე, ალბათ, სერიოზულად დაფიქრდებიან რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროში. აგროსამრეწველო კომიტეტის ხაზით კი რაიონში არავითარი ავტოსატრანსპორტო საწარმო ამ კოლონა არ არსებობს. ეს საკითხიც უნდა გადაწყვეტოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქმოფლტრანსმა“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის XXVII ყრილობაზე აღინიშნა: „სასურსათო ფონდების შევსების უახლესი წყაროა მინდვრებისა და ფერმების პროდუქციის დანაკარგების შემცირება მოსავლის აღების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების დროს. აქ საკმაო რეზერვი გვაქვს, მოხმარების რესურსებში მატებამ შეიძლება შეადგინოს დაახლოებით 20, ზოგიერთი სახეობის პროდუქციის მიხედვით კი თითქმის 30 პროცენტიც. დანაკარგების აღმოსაფხვრელად ხარჯები 2-3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე იმავე მოცულობის პროდუქციის დამატებითი წარმოების დროს“.

ეს უნდა „გაითვალისწინონ მარნეულის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა, რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტის სათანადო სამმართველოს ხელმძღვანელებმა და სწრაფად გარდაქმნან მუშაობა, მეტი კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიონ საზოგადოებრივ მეურნეობებს სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, მოსავლიანობის ზრდასა და ეკონომიკის განმტკიცებაში.

დ. ბიწაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

წამით შეჩერება ვერსით რამოგვარჩენს

პროდუქცია არის, გადაზიდვა ფერხდება

ოთხ-ნახევარი ათწლეულის თავზე კიდევ უფრო ცხადად გამსმა, რომ მის მიერ ურთულეს პირობებში განხორციელებული ქვეყნის სახელმწიფო აპარატის, მთელი ცხოვრების რადიკალური გარდაქმნა სამარ ყაიდაზე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებისა, იმ ხალხის გამარჯვებისა, რომელსაც ლენინის პარტია ხელმძღვანელობს. ამ ომის გაკვეთილები მრისხანეს გაფრთხილებად უნდა ახსოვდეთ ყოველთვის სამხედრო ავანტიურების მოყვარულთ.

(საკდესი).



ჩვენი გაზეთის 9 მაისის ნომერში დაიბეჭდა წერილი „ყურადღება, დავიხსომოთ: უკონდიციო და უხარისხო ნედლეულს წელს ჩაის ფაბრიკები არ გადაამუშავებენ“. 6 ივნისს კი გაზეთი იტყობინებოდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფაში გამარჯვებული მეურნეობების, ბრიგადების, რგოლების, ჩაის ფაბრიკების გარდამავალი დროშებითა და ფასიანი საჩუქრებით (ფერადი ტელევიზორებით) დაჯილდოების შესახებ. ჯილდოები დაუწესეს „კომუნისტის“ რედაქციამ და საქართველოს სსრ სახაგრომრეწვამ.

ამასთან დაკავშირებით ქ. სამტრედიაში შეიქმნა „კომუნისტის“ საგუშაგო, რომელიც სისტემატურად აწვდის რედაქციას წერილებს ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების საჭირბოროტო საკითხებზე. საგუშაგოს პირველი წერილები დაიბეჭდა მახარაძის და გალის რაიონებიდან. დღეს გთავაზობთ წერილს ქობულეთის რაიონიდან.

აჭარის ამ ულამაზეს კუთხეში სუბტროპიკებს შორის ყველაზე პოპულარულია ჩაის კულტურა. მის მოსავლიან 4.196 ჰექტარ პლანტაციაში ყოველწლიურად 48 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი იკრიფება და მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა. ამატებოდაც ქობულეთელი მეჩაიეები ჩაის პლანტაციებს წლის ყოველ დროს მზრუნველობას არ აკლებენ.

წლევანდელმა კოკისპირულმა წვიმებმა და ამ დროისათვის უჩვეულო სცენარებმა ჩაის დუყების ზრდა-განვითარება შეაფერხა და ფოთოლი გააუხეშა. ამან კი მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა დაძაბული შრომა მოითხოვა. რაიონის ხელმძღვანელების ღონისძიებებმა ავდრის ყამს ყველა შრომელი დარაზმა მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებების უთუოო შესრულებისათვის. რაოდენობასთან ერთად ჩაის ხარისხისათვის ბრძოლის თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყო, რომლის მიზანია არა მარტო ქართული ჩაის პრესტიჟის ამაღლება, არამედ ბოლო წლებში მკაცრი კრეფის გამო დასუსტებული პლანტაციების ბიოლოგიური პროდუქტიულობის აღდგენაც. ამიტომაცაა, რომ საზოგადოებრივი მეურნეობების ნებისმიერი პლანტაციის დათვალიერება გულს სიხარულით ავსებს. კარგი ხარისხის ჩაი კი კარგად მოვლილმა პლანტაციამ იცის.

ჩაის ფოთლის კრეფის ახალი ტექნიკური წესების დანერგვამ უნდა შექმნას ნედლეულში ნაზი ფრაქციის წილის გადიდების პირობები. ამისათვის კი რაიონში საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაა გამოცხადებული. მეჩაიეები ერთსულოვნად ჩაებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობა, ჩაის ფაბრიკა, მეჩაიე, მექანიზატორი წარმატებებს აღწევს.

მიუხედავად ამისა, ზოგან კვლავაც არის უხარისხო და გაუხეშებული ნედლეულის კრეფის, პლანტაციების მოუვლელობისა და დასარეცლიანების, შემოსული ფოთლის დაგვიანებით კრეფის ფაქტები, რომლებიც რეაგირების გარეშე არ რჩება.

ივნისის პირველი დეკადის ერთ დღეს დაგვის კოლმეურნეობის 12 რგოლი არ იყო დასაქმებული ჩაის ფოთლის კრეფაზე, არადა, ამ პერიოდისათვის პირველი ვეგეტაციის 130 ტონამდე ჩაის ფოთოლი იყო მოსაკრეფი. ზოგიერთ საწარმოო ბრიგადაში კი გაუხეშებული ჩაის ფოთლის კრეფის წესების უხეში დარღვევის ფაქტები გამოვლინდა პირველი, მეორე, მეხუთე, მეშვიდე, მერვე, მეთერთმეტე და მეთორმეტე ბრიგადებში. ზოგან ფარდულები არ არის მოწყობილი, ხოლო მეშვიდე ბრიგადის კაპიტალური ფარდული ავარიულია.

შრომის უხეირო ორგანიზაციის, ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის წესების უხეში დარღვევის ფაქტები იყო აგრეთვე ბობოყვათის კოლმეურნეობის პირველ, მეოთხე, მეხუთე, მერვე და მეცხრე საწარმოო ბრიგადებში. მეოთხე ბრიგადაში ჩაის ფოთლის საკრეფად 97 მუშიდან მხოლოდ 3 კაცი იყო გამოსული. უფრო მეტიც: პირველ და მესამე ბრიგადებში მოუვლელობის გამო 500 კვადრატული მეტრი ჩაის პლანტაცია ძლიერ დაკენძულია და დაღეპვის კარამდეა მისული.

ოჩხამურის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის მეორე, მესამე, მეექვსე, მერვე და მეთერთმეტე ბრიგადებში 1,4 ჰექტარი ჩაის პლანტაცია ხელის აპარატებით ძალზე დაუდევრად იყო ნაკრეფი. ზოგან პლანტაცია გვიმრით იყო დაფარული.

ამ და სხვა დარღვევებისათვის საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიუროს 7 ივნისის სხდომაზე დაგვის და ბობოყვათის კოლმეურნეობების თავმჯდომრეებს ფ. ამირიდს და ა. ღაღაიშვილს გამოუცხადა საყვედურები საალრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო ოჩხამურის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორს თ. ციცხლაძეს — სასტიკი საყვედური. დაგვის კოლმეურნეობის მთავარ აგრონომს გ. რომანაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით და განთავისუფლდა თანამდებობიდან. მკაცრი პარტიული სასჯელი დაედოთ აგრეთვე ოჩხამურის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის მთავარ აგრონომს ა. დონდოლაძეს, ბობოყვათის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომის მოვალეობის შემსრულებელს ა. გოგიტიძეს, საწარმოო ბრიგადის ბრიგადირებს და სხვებს.

ასე შკაცრად, უკომპრომისოდ ებრძვიან წუნსა და უხარისხობას რაიონის ხელმძღვანელები. მიუხედავად ყოველივე ამისა, დღემდე შეიმჩნევა დარღვევა-დამახინჯებანი, ჩაის ფოთლის გაუხეშება, მოკრეფილი ნედლეულის უხარისხობა. დათვალიერებისას სოფელ კვირიკეს ჩაის ფოთლის კრეფა ჯერ ჩამბარებელთა მიმღები პუნქტი ღია დაგვხვდა. 300 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლი უკონდიციო იყო, რომელიც პუნქტის გამგეს (ოგიგე მიმღებ-მწონავს) ბიჭიკო შაქარიშვილს ჩაებარებინა, მაგრამ აქ არც ზედდებული იყო და ბ. შაქარიშვილიც არ დაგვხვდა. ვერ დავდგინეთ, თუ ვინ იყო ნედლეულის პატრონი. რომ გაგვერკვია გაუხეშებამდე რატომ არ მოკრიფა ხარისხოვანი ფოთოლი. დავიბარეთ, რომ გამოვიძახოდით, მაგრამ პუნქტი დაკეტილი დაგვხვდა. გვაინტერესებს, რა ბედი ეწია (ვინ ჩაიბარა) უხარისხო ნედლეულს? ალბათ, პასუხს სათანადო ორგანოები გასცემენ რედაქციას.

ზედა ულიანოვკის სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ს. დოლაძე მთავარი აგრონომი — ს. დეკაძე) წლეულს 980 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ, მათ შორის მაის-ივნისში — 500 ტონა. მეურნეობის მეჩაიეები უთუოდ ხარისხოვნად კრეფენ ნედლეულს. ეს იქიდან ჩანს, რომ დღემდე დადებულია ნედლეულში ნაზი ფრაქციი 61 პროცენტია. ეს კარგია, მაგრამ ცოდი ის არის, რომ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 108 ტონით ნაკლები ჩაის ფოთოლი მოიკრიფა. ზედაულიანოვკელ მეჩაიეებს მართებთ ტემპის გაძლიერება, შრომის ორგანიზაციის უკეთ მოწყობა, მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობა. ამას ისიც გვიფიქრებინებს, რომ კოლმეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრება, შრომითი პაექრობა ფორმალურია. ს

ფოტოფირფიტა

ფაქტები • მოვლენები

შემაჯამებელ მეცადინეობებზე

ახლებურად მუშაობის ბარომეტრი

სკკპ XXVII ყრილობის მასალების შესწავლა, აზნაურ მ. გობაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების მასებისათვის გაცნობა პირველადი პარტიული ორგანიზაციების უპირველესი საზრუნავი გახდა. ისტორიულ პარტიულ დოკუმენტებს სამხრეთ ოსეთის კომუნისტები, ყველა მშრომელი მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაშიც სწავლობენ. წელს ოლქის 18 ათასმა კომუნისტმა და უპარტიო აქტივისტმა გაიარა პოლიტიკური წრთობა. საოლქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლმა, რაიონების პარტიული განათლების კაბინეტებმა მთელი ძალები შემაჯამებელი მეცადინეობების ორგანიზებულად მოწყობისაკენ წარმართეს. მარქსისტულ-ლენინური თეორიის, პარტიის პოლიტიკური კურსის, სადღესაწ მოთხოვნების კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკის, ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის, ხე-ტყის კომბინატის, მომნანქრებული სადენების ქარხნის, ცხინვალის რაიონის ხეთაგუროვის, თამარაშენის, ლენინგორის რაიონის ლენინგორის, ზნაურის რაიონის ზნაურის, ჯავის რაიონის ჯავის საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკური სწავლების სისტემაში გაერთიანებულმა კომუნისტებმა, აქტივისტებმა.

განვლილი თემატიკიდან ყოველ საკითხზე მსჯელობდნენ ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკის ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლის მსმენელები (პროპაგანდისტი ნ. ქუმარიტოვი). მაგრამ უურადღება მაინც ძირითად თემაზე — „პარტიის როლის გაზრდა, მისი პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზატორული საქმიანობის გაძლიერება“ — გამახვილდა. მსმენელმა, ფაბრიკის ლაბორანტმა ნინო მძინარაშვილმა ისაუბრა ადამიანის ფაქტორზე, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტორგანიზაციათა მუშაობის ძირეულ გარდაქმნაზე. პარტიის როლის, კომუნისტის პასუხისმგებლობის გაძლიერების, კომუნისტის მორალური სახის სიწმინდის, საკადრო პოლიტიკის ideologიური მუშაობის ცხოვრებასთან მტკიცე კავშირის საკითხები გააშუქეს მსმენელმა ჯულეტა გაგლოევამ, საქმოვი საამქროს ბრიგადირმა ფატიმა ქოქოევამ, ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორმა სვეტლანა მულდაროვამ, აღმზრდელობითი მუშაობის ინსტრუქტორმა სვეტლანა სოტიევამ და სხვებმა. მათ თეორიული ცოდნის მომარჯვებით დაასაბუთეს პრაქტიკულად თუ როგორ უნდა გარდაქმნას მუშაობა ფაბრიკაში, ამხელეს უდისციპლინონი, წუნისმკეთებლები, რომლებიც „ეარაყოფითს დაეს ასვამენ საერთო შრომის ნაყოფს. თქვეს, თუ როგორ ეხმარებათ პოლიტიკური სწავლება შრომაში, საერთო წარმატების მოპოვებაში.

მუშაობის ახლებურად გარდაქმნის, ეკონომიკის გაძლიერებისათვის ბრძოლაში სწორი ორიენტირი აქვთ ცხინვალის რაიონის ხეთაგუროვის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტებს. ეს არის იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლება. ისინი მთელი სასწავლო წლის მანძილზე სწავლობდნენ ეკონომიკის გაძლიერების ერთ-ერთ ქმედითს ფაქტორს — იჯარული შრომის საკითხებს. სკოლაში გაერთიანებულმა ოცდაოთხზეე მსმენელმა აითვისა პროგრამა. თეორია პრაქტიკას დაუკავშირეს და კოლექტიური შრომის იჯარა ისე მოაწყეს, რომ საჭიროებელნი გახდნენ. ახლახან მათ მუშაობის გამოცდილების გასაცნობად ეწვივნენ ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა ნეურნეობების იჯარული შრომის ბრიგადების რგოლების ხელმძღვანელები, პარტჯგუფორგები, აქ გაიმართა თათბირ-სემინარი.

რა მისცათ ხეთაგუროველებს სიახლემ?

— შარშან საშუალოდ ჰექტარზე 10 ცენტნერის ნაცვლად 12 ცენტნერი ლობიო, 6 ცენტნერის ნაცვლად 8 ცენტნერი ესპარცეტი მივიღეთ, ხორბლის მოსავალი კი გაორკეცდა — 50 ცენტნერი თითოეულ ჰექტარზე. —განაცხადა მსმენელმა, ცნობილმა მექანიზატორმა იაშა ხუბაევმა.

შემაჯამებელმა ნეცადინეობებმა ცხადყო, რომ ადამიანები მზად არიან პარტიის მიზანდასახულობათა შესასრულებლად, რომ დიადი გარდაქმნების გზაზე მათი მასტიმულირებელი ბარომეტრია პოლიტიკური ცოდნით აღჭურვა.

გ. თოდეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ხელს შეიტანენ მორიგების მიღწევას

ეენევა. ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე სსრ კავშირის დელეგაციამ გაავრცელა შემდეგი განცხადება:

26 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურმა მაკს კამპელმანმა პრესისათვის მიცემულ ცნობაში შეაჯამა მოლაპარაკების დამთავრებული მეხუთე რაუნდის შედეგები და ჩამოაყალიბა შეფასებანი, რომლებიც შეეძლებოდა ხელი შეეწყო კიევ ს საქმის ნამდვილ ვითარებას და წარმოადგენს მას დამახინჯებულად.

ფაქტია ის, რომ მთელი რაუნდის მანძილზე ამერიკის დელეგაციის პოზიციაში არ მომხდარა არავითარი ცვლილებანი, რომლებსაც შეიძლებოდა ხელი შეეწყო კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისა და დედამიწაზე მისი შეწყვეტის საკითხებზე ურთიერთმისაღებ მორიგებათა მიღწევისათვის. ამერიკის მხარეს დღემდე არ წამოუყენებია რაიმე პოზიტიური წინადადებანი ამის შესახებ. იგი კვლავ აფერხებდა მოლაპარაკებებზე წინსვლას, იცავდა თავის წინანდელ არაკონსტრუქციულ პოზიციებს, რომლებიც არ გამოდგებიან შეთანხმების საფუძვლად, თავს არიდებდა საბჭოთა მხარის წინადადებათა საქმიან განხილვას. ეს, კერძოდ, ეხება საშუალო სიშორის ბირთვულ საშუალთა პრობლემას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატები დღემდე იცავს დრომოჭმულ ხუთი წლის წინანდელ პოზიციებს.

სსრ კავშირის დელეგაციამ კი სამივე ჯგუფში მოლაპარაკებებზე გადადგა ახალი სერიოზული ნაბიჯები, რომელთა მიზანია უსწრაფესი პროგრესის მიღწევა. კოსმოსური შეიარაღების ჯგუფშიც, სტრატეგიული შეიარაღების ჯგუფშიც, საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების ჯგუფშიც საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა დეტალური, შეწონასწორებული, ორივე მხარის ინტერესების შესაბამისი წინადადებანი, რომლებიც შეიძლება კარგი საფუძველი გახდეს უახლოეს დროში ყველა მიმართულებით გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და ბირთვული შეიარაღების რადიკალური შემცირების პრობლემის გადასაჭრელად.

მაგალითად, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების საკითხებზე საბჭოთა მხარე მთლიანად იცავს მოლაპარაკების მაგიდასთან თავის წინადადებას სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი ბირთვული შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების შესახებ. საკითხის ასეთ რადიკალურ გადაწყვეტას ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ, მზად ვართ შევთანხმდეთ მის შესახებ დაუყოვნებლივ, ახლავე.

ამერიკის მხარე კი მოლაპარაკების ამ რაუნდზეც კვლავ ჯიუტად იდგა თავის ძველ, გასული წლის 1 ნოემბრის წინადადებებზე, რომლებიც მხოლოდ აცხადებენ 50 პროცენტიანი შემცირების მიზანს, საქმით კი ითვალისწინებენ ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების განკარგულებაში არსებული ბირთვული მუხტების მკვეთრ, რამდენიმე ათასი ერთეულით გადიდებას.

ამის გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ შექმნილი ჩიხიდან გამოსვლისათვის, საბჭოთა მხარემ წინა რაუნდის დროს წამოაყენა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შუალედური ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს 50-პროცენტიან ფორმულასთან შედარებით მხარეთა ბირთვული არსენალების რამდენადმე ნაკლებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღრმა შემცირებას. ასეთი შემცირების განხორციელება შესაძლებელია იმ მორიგების მიღწევის შემთხვევაში, რომ რაკეტაზენიანმფეგო თავდაცვის ხელშეკრულების ფარგლებს არ გასცდებიან სულ ცოტა 15 წლის მანძილზე. ეს ვარიანტი მიგვაჩნია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი ბირთვული შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების გზაზე გადადგმულ ნაბიჯად.

დიდი წინადადებანი შეიტანა საბჭოთა მხარემ კონტროლის საკითხებზეც. ჩვენ მხარს ეუჭერთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მკაცრ და ადეკვატურ შემოწმებას — საჭიროების შემთხვევაში — ადგილებზე შემოწმების ჩათვლით. ამერიკის მხარე კი, როგორც გამოირკვა, მხოლოდ ლაპარაკობს კონტროლის შესახებ. პრაქტიკულად იგი ყოველნაირად თავს არიდებდა აგრეთვე ამ საკითხის საგნობრივ განხილვას.

იძულებული ვართ სინანულით აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა დელეგაციის მეცადინეობისათვის, რომ მოლაპარაკება „უძრაობის მდგომარეობიდან გამოიყვანოს, დღემდე მხარი არ დაუჭერია ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას, და ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების მოლაპარაკებაზე დადებითი შედეგების მიუღწევლობისათვის მთელი პასუხისმგებლობა სავსებით ეკისრება ამერიკის მხარეს.

● ეგვიპტე

ეგვიპტეში ეროვნული ბანკი ეროვნულ ბანკად

ბანკი ეროვნულ ბანკად. ეგვიპტეში ეროვნული ბანკი ეროვნულ ბანკად. ეროვნული ბანკი ეროვნულ ბანკად. ეროვნული ბანკი ეროვნულ ბანკად.

ᲒᲐᲜᲐ ᲖᲚᲐᲪᲮᲘᲡᲨᲘ ᲘᲧᲝ...

ᲒᲐᲗᲣᲨᲘᲜ პურის მიმღები საწარმოს დირექტორობა სახუმარო საქმე არ არის. მით უმეტეს, თუ დიდძალ კომბინირებულ საკვებსაც განაგებს, ცა ქუდად არ მიჩნია და დედამიწა ქალამად.

და აი, სწორედ ასეთი დირექტორის კაბინეტში რამდენჯერაც გინდა მივიდეს, ვთქვათ, დმანისის რაიონის ეგრისის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის ექსპედიტორი, რესპუბლიკის პურპროდუქტების სამინისტროს ოფიციალური დოკუმენტებიც რომ მოიშველიოს, მაინც გაწბილებული, ხელცარიელი გამობრუნდება უკან.

— როგორ გეკადრებათ, სადა მაქვს კომბინირებული საკვები, არა მაქვს და ალბათ არც მექნება, — ასეთი პასუხი მუდამ მზადა აქვს რ. დეკაძეს. — რაო, ფონდით, განაწილებით გეკუთვნით? რა ვქნა, ძმაო, ვინც იგი გაანაწილა, იმათვე მიბრძანეს, სხვა რაიონებსა და ორგანიზაციებს გადაეცით (ცრუობს დირექტორი, სინამდვილეში სამინისტროს განაწილება-განკარგულებებს არად აგდებს).

დმანისელი მალემსრბოლი ცოტა შემტვი კაცი რომ ყოფილიყო, შეიძლება ჩაძალებოდა და ეთქვა — შე კაი კაცო, მე ფონდით კუთვნილს არ მაძლევ და სხვას კი როგორც გინდა, ისე უმართავ ხელსო. მისი ეს პრეტენზია უსაფუძვლო როდი იქნებოდა — საწარმომ კი არა. დირექტორმა 1984 წელს მომხმარებლებს მისცა ფონდით კუთვნილზე 2100 ტონით, ხოლო 1985 წელს — 5800 ტონით მეტი საკვები. ბევრმა ორგანიზაციამ და მეურნეობამ კი მარშანწონ 1600 ტონა, ხოლო შარშან — 2200 ტონა კვარტალური ფონდებით კუთვნილი საკვები ვერ მიიღო.

თქვენ ალბათ იტყვით, ეს ზომ საფოხდო დისციპლინის უხეში დარღვევააო. დირექტორმა თქვენზე კარგად იცის, რას, როგორ და ვისთვის აკეთებს. თანაც ზომ აღიარა, რომ ამდენ საკვებს მომავალი ფონდების ანგარიშში ვაძლევდიო.

ახლა რა ვუყოთ, რომ საწარმოს ხელმძღვანელობამ (იგულისხმებიან დირექტორი და მთავარი ინჟინერი ა. ბერიძე, თორემ გასაღების განყოფილებასა და მის უფროსს გ. ჩხარტიშვილს ვინ რას ეკითხებოდა) შემდეგ კვარტალებში ვეღარ დაუკავა იმ მომხმარებლებს „ავანსად“ გაეცემული, რის გამოც ორ წელიწადში ისევ ფონდის გადამეტებით სხვადასხვა ორგანიზაციებსა და მეურნეობებს შერჩათ 2900 ტონაზე მეტი საკვები. აბა, რაღა დირექტორია, თავის ახლობლებს ეს პატარა საქმე თუ არ გაუკეთა. კეთილი თვალით რომ არ უყურებდეს აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სისტემის ორგანიზაციებს, განა მათ 551 ტონა საკვებს დაუტოვებდა? ან კიდევ ხელვახურის რაიონის „ცხოველმრეწას“ 210 ტონა საკვებით რომ მოუთბო ხელი. საკვები ფონდი გადამეტებით მიიღეს ბელოზერსკის სახელობის მეცხოველეობისა და ანმეტის რაიონის ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობებმა.

განა ეს საქმე უანგაროდ გაკეთებოდა?

იქნებ საფოხდო დისციპლინის უხეშ დარღვევად მონათლოთ ისიც, სამშენებლო მასალებს კომბინირებულ საკვებზე რომ ცვლიდა. სამინისტროს შესაბამის სამსახურებს ვერ დაუკიდია, დირექტორი, თვითონ წყვეტდა მშენებლობა-რემონტისათვის საჭირო მასალების შეძენის საკითხებს. მერე რა, რომ ფონდით არ ეკუთვნოდა 521 კუბური მეტრი ხე-ტყე ზომ შეიძინა.

როგორ მოახერხა? სრულიად უბრალოდ, ნათქვამია „ხელი ხელსა ჰბანსო“... დასჭირდა საწარმოო გაერთიანება „ჭიათურრმენგანუმს“ თავისი დამხმარე მეურნეობისათვის კომბინირებული საკვები, და პურის მიმღებ საწარმოს მიადგა. ზღაპრისა არ იყოს, დირექტორისაგან პასუხად მიიღო — შენ რომ ჩემთვის ხე-ტყის მასალები არ მოგიციაო. მეტი რა გზა ჰქონდათ ჭიათურელებს, პირუტყვს შიმშილით ზომ არ გაწყვეტდნენ, და დაიძრა ბათუმისაკენ 125 კუბური მეტრი ძვირფასი საშენი მასალა.

ამავე გზით „შეაწიეს“ დიდძალი ხე-ტყე შუახევის, ხულოს და ქედის სატყეო მეურნეობებმა, ალამბრის საბჭოთა მეურნეობამ. ამ უკანასკნელს დამატებით 6 ტონა ცემენტი და 7 ტონაზე მეტი რკინაც მოსთხოვეს. ჯოროხის არამადნეული მასალების ქარხანას კი კომბინირებული საკვები 668 კუბური მეტრი ხრეში დაუჯდა. საერთოდ „სამშენებლო მაქინაციებს“ 197 ტონა ყუათიანი საკვები დასჭირდა.

ნუ დაგშვრილმანდებით და ნუ დაგიწყებთ იმის ძიებას, თუ შუახევის სატყეო მეურნეობამ ხე-ტყეზე გაცვლილი 17 ტონამდე მეტი კომბინირებული საკვები რატომ მიჰყიდა მუშა-მოსამსახურეებს, ან რატომ მოიქცნენ ასევე ხულოს სატყეო მეურნეობაში, ალამბრისა და ბელოზერსკის სახელობის საბჭოთა მეურნეობებში.

უარესსაც გეტყვით, თვითონ პურის მიმღებმა საწარმომაც მიჰყიდა თანამშრომლებს დიდძალი ცემენტი და დაბერილი ხე-ტყე, რითაც სახელმწიფოს 1280 მანეთი აზარალა. ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობასაც ზომ მიჰყიდეს ხულოს სატყეო მეურნეობაში დამზადებულ-დახერხილი ხე-ტყე.

მოდით, იმასაც ნუ ვიკითხავთ, როგორ, რა გზით, ან რატომ ჩამოწერეს შარშან საწყობების აღდგენით სამუშაოებზე ვითომდა ნორმის გადამეტებით დახარჯული ხე-ტყე და ცემენტი. თორემ ყველაფერი ეს რომ გამოვიძიოთ, იქნებ ბევრი სხვაც ამოტივტივდეს და... თუმცა, მერე რა მოხდა, პურის მიმღებ საწარმოშიც იყო დარღვევა-ნაკლოვანებები, ამისათვის ქვეყანა ზომ არ დაიქცევა?

ქვეყანა არ დაქცეულა, მაგრამ უფროსი კი მოუხსნიათ. სწორედ ასე დაემართა როსტომ დევაძესაც. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებით იგი გადაყენებულია თანამდებობიდან.

დაისაჯა საწარმოს მთავარი ინჟინერი ა. ბერიძეც. მას კომიტეტმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა და 3 თვის ხელფასის ოდენობის თანხა დააკისრა გადასახდელად, თანაც გააფრთხილა, რომ, თუ შემდგომში ასეთი დარღვევებით იმუშავებს, თანამდებობასაც გამოეთხოვება.

გადაწყდა, რომ შემოწმების მასალები აჭარის ასსრ პროკურატურას გადაეცეს, ხოლო ქედის, ხულოს და შუახევის სატყეო მეურნეობებისა და ალამბრის საბჭოთა მეურნეობის შესვეურთა პასუხისმგებლობის საკითხი აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილოს.

Თ. ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚᲘ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲓᲐ?

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ქვეყნების ეგრეთწოდებული მაღალი საზოგადოების ოჯახებში გამოყოფილი აქვთ კვირის ერთი რომელიმე დღე სტუმრების მისაღებად. ფრანგები ამ დღეს „ჟურფიქსს“ უწოდებენ. ასეთ დროს „რჩეული“ საზოგადოება გართობის, დასვენების, უფრო მორს გამიზნული— ახალი ნაცნობების შეძენისა თუ ადრე დამყარებულ ურთიერთობათა განმტკიცებისათვის, ანდა პირიქით, ადრე გამორჩეულის, მაგრამ უკვე ზედმეტის „ჩაძირვისთვისაც“ კი იყენებს. გვაქვს ჩვენ ასეთი „ჟურფიქსი“? ცხადია, არა! ასეთი „წესი და რიგი“ ჩვენი თანაცხოვრებისათვის უცხოა. მაგრამ არის კვირაში გამორჩეული ისეთი საფეხბურთო დღეც, რომელიც ჩვენში თუ უცხოეთში მართლაც ყველასათვის მისაღებია, და მას ფეხბურთის ყველა ტრფიალი რაღაც განსაკუთრებული იმედით ელის: უნდა იხილოს მწვანე მინდორზე გამოსული საკუთარი გუნდი, მასთან ერთად განიცადოს წარმატებითა თუ წარუმატებლობით გამოწვეული ალტაჯინება თუ მტკივნეულად გადასატანი წუხილი...

ᲞᲘᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ გულშემატკივარს საფეხბურთო დღეზე მიპატიჟება არ სჭირდება, უფრო მეტიც, იგი ბილეთს ყიდულობს, თბილისში კი ერთგულების ლატარიის ბილეთსაც იძენს. ცხადია, უმეტესწილად ლატარიით არაფერს იგებს, მაგრამ იცის, რომ მისი ბიუჯეტიდან გაღებული წილი საყვარელი გუნდის წვერთა პირობების გაუმჯობესებას მოხმარდება. იგი ამას ნებაყოფლობით აკეთებს, ვინაიდან სჯერა, რომ საქმეს მისი წვლილიც წაადგება. და როცა გუნდისაგან უკუგებას, რაც ბუნებრივია, კოლექტივის წევრთა კარგი თამაშით უნდა გამოიხატოს, არ ღებულობს, მაშინაც კი ერთგული რჩება საკუთარი გუნდისა. მან კარგად იცის თავისი მოვალეობა — თუ ერთგულებაა, ბოლომდე ასეთი გრძნობით უნდა იყოს გამსჭვალული. უბრალოდ, ფეხბურთის ქომაგებს სჯერათ, ან უნდათ ყველაფერს გადაბიჯონ და მაინც ირწმუნონ (ჩვენ ზომ ოპტიმისტები ვართ!), რომ თბილისელი ფეხბურთელები ბოლოს და ბოლოს თავს არ შეირცხვენენ, რესპუბლიკის სპორტული ღირსების დროშას არ დაწიან.

მაგრამ, ეტყობა, დრო მარტო მკურნალი არ არის, ეს დრო შეიძლება იმდენად გაგრძელდეს, რომ ფეხბურთელთა თამაშის გრაფიკულ გამოსახულებაში თავი იჩინოს ხაზების ისეთმა მრუდმა, რომელშიც უკვე ნამდვილად მფეთქავი გულის კონტურსაც კი ვეღარ მოკრთა თვალი. ცხადია, ასეთ დროს ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ელის და მკურნალი უკვე სხვადასხვა საგანგებო მაცოცხლებელ, ეგრეთ წოდებულ სარეანიმაციო საშუალებებს მიმართავს. მაგრამ როცა გუნდია ამ დღეში?..

გაქეიფილ გატეხილი სჯობს, თბილისის „დინამოში“ ახლა სწორედ ასეთი უკიდურესი ვითარება შეიქმნა და თუ ახლავე საგანგებო ზომები არ მივიღეთ, გვაძლია იქნება თითზე კბენინა. გვაქვს თუ არა საფუძველი ასე მკაცრად ვიმსჯელოთ თბილისის „დინამოს“ კოლექტივში შექმნილ ვითარებაზე? სამწუხაროდ, გვაქვს. ყოველი ახალი საფეხბურთო სეზონის წინ — ჩემპიონატისათვის მზადების დროს გუნდის უკიეესი მომავლის ნაპერწკალი ღვივის. ყველას გვახსოვს, შავიზღვისპირეთში მზადების დროს „დინამოს“ ორი სხვადასხვა შემადგენლობა გამოიკვეთა და სავარაუდო იყო, რომ ამ გზით მწვრთნელები ოპტიმალურთან მიახლოებულ შემადგენლობას დაადგენდნენ. თავდაპირველად თითქოს ყოველივე გეგმით წარიმართა, „დინამო“ ერთხანს ლიდერადაც კი მოგვევლინა, მაგრამ თანდათან თავი იჩინა ხარვეზებმა, შემდეგ კი ეს ხარვეზები უფრო მნიშვნელოვან და ძნელად აღმოსაფხვრელ ნაკლად წარმოგვიჩნდა. ამორგად, მზადების პერიოდში ორ გუნდად გაყოფამ ვერაფერი შედეგი მოგვცა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ პირველი წრის 14 მატჩში ძირითად შემადგენლობაში 23 მონაწილე თბილისის დინამოელთა თამაშს შორის. კიევის დინამოელთა გუნდიც საკლუბოა მაგრამ იმ დონისა, რომელიც საბჭოთა ნაკრების სხვა წევრებთან ერთად, მიუხედავად მერვედფინალიდან გამოთხვისა, მაინც თავაწეული დაბრუნდა სამშობლოშ.

დინამოელებო! განა დრო არ არის გამოვავლინოთ ძველებური შემართება, მორალურ-ნებელობითი თვისებები (თუ ის მთლიანად არ მოგვეშალა) და ის პოტენციური შესაძლებლობანიც, რომლებიც უთუოდ შემოგვრჩა და რატომღაც ჯერჯერობით ვერ ვავლენთ. ქართველი ფეხბურთელები თავიანთ ტრადიციებს თვალისჩინეთით უფრთხილდებოდნენ, მათ რესპუბლიკის სპორტული ღირსების დროშაც ზეამაღართული ეჭირათ. ნიპალიზმმა ზომ არ შეგვიპყრო, ზომ არ უარვყოფთ იმ შესანიშნავ ტრადიციებსა და თამაშის ნაცად პრინციპებს, რომლებიც ადრე აგრერიგად მოჯარბებული ჰქონდათ ჩვენს ფეხბურთელებს? ახლა? მოდით, ამ და დღეს დასმულ კიდევ უამრავ კითხვაზე თავად დინამოელებმა გვიპასუხონ.

ვიმეორებთ, თბილისის „დინამოს“ კოლექტივს, მიუხედავად მეტისმეტად უფერული თამაშისა და შედეგების, აგრეთვე რიგ ფეხბურთელთა უმსგავსი საქციელის გამო ერთობ განაწყენებული ვართ, მაინც ერთგულად ვუქომაგებთ. ამ ექსტრემალურ პირობებში გუნდის უფროს მწვრთნელს ნოდარ ახალაიას ხელის შეშლა კი არა, ყოველმხრივი მხარდაჭერა სჭირდება. ასეა განწყობილი რესპუბლიკის სახელმწიფო სპორტკომიტეტი. ერთი სიტყვით, მოთმინებით, საქმიანი რჩევით (იმასაც ვგულისხმობთ, „მოყვარეს პირში უძრახეო“), ვისაც ეს მართლაც ხელეწიფება, მხარი ამოდგომა გვმართებს. ყოველ შემთხვევაში ამ კონკრეტულ ეტაპზე გუნდში შექმნილი ვითარებისას სხვა ალტერნატივას ვერ ვხედავთ. ასეთია ნამდვილი თანაბდგომის ბუნება, თვით მაშინაც კი, როცა წინსვლის გზა სათუო ხდება.

ᲯᲘᲛᲨᲔᲠ ᲔᲜᲣᲫᲘᲫᲔ,
გაზეთ „კომუნისტის“ სპორტული მიმომხილველი, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ



ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ მკითხველმა მიიღო ჟრიფესორ ალ. ღლონტის ნაშრომი „ქართველური საკუთარი სახელები“, მეორე შევსებული გამოცემა („საბჭოთა საქართველო“, რედაქტორი ნ. თეთრაძე, ტირაჟი 20.000 ც.). წიგნი შეიცავს გამოკვლევას, ანთროპონიმთა ლექსიკონს, ცნობებს წყაროთა, მთქმელთა, ინფორმატორთა შესახებ.

აქ თავმოყრილია მდიდარი ლექსიკური მასალა. გათვალისწინებულია საკუთარ სახელთა როგორც ზეპირი ტრადიცია, ისე დაბადების (მეტრიკის) ძველი და ახალი წიგნების ჩანაწერები, სიგელ-გუჯრების, საისტორიო და საეკლესიო მწერლობის მონაცემები, საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივისა და მშაჰის რესპუბლიკურ არქივებში დაცული დოკუმენტები, მოსახლეობის აღწერის ცხობები. დაგინობრივთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საუკუნეთა განმავლობაში ნასესხებ ფონდსაც. თანამედროვე ტრადიციის ამსახველი მასალა შეკრებილია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბარისა და მთის რაიონებში, ისტორიულ კოლხეთში, სვანეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და ზოგიერთ სხვა რეგიონში. მასალის შეკრების მიზნით ავტორს წლების განმავლობაში მოუვლია ათას სამასზე მეტი დასახლებული პუნქტი. ნაშრომი ხანგრძლივი ძიების შედეგია და ამდენრიგს ქართულ ლექსიკოგრაფიას, იგი ქართველური ანთროპონიმიის პირველი ლექსიკონია, რომლის გამოცემით „საბჭოთა საქართველომ“ საშური საქმე გააკეთა.

Გ. ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲚᲘᲐ,
თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის თანამშრომელი.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ საღამოს, როცა ეს წერილი დასაბეჭდად უკვე გამზადებული იყო, თბილისის „დინამოსა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მატჩი დამთავრდა. უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ეს ბოლო შეხვედრა თბილისელებმა წააგეს ანგარიშით 1:2, ქუთაისელებმა კი ასეთივე ანგარიშით გამიმარჯვეს ოდესის „ჩერნომორეცთან“.

ამჯერად დინამოელთა შემადგენლობა თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში გაცილებით ახალგაზრდული იყო, ვიდრე ამ სეზონის ყველა წინა მატჩში: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, კუდენოვი, კაკილაშვილი, სვანაძე, უგრელიძე (ჩელებაძე), გოგრიჭიანი, ცაავა, მესხი (გუცაევი). გუნდში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ახალგაზრდობაზე აქცენტის აღება სიმპტომატურად მოგვეჩვენა, კოლექტივში უმეტესწილად იგრძნობოდა გარკვეული აქტივობაც და შემართებაც, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელების თამაშში მაინც არ იყო ის სიმწყობრე, რომელსაც საბოლოო გამარჯვება მოაქვს.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ



ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲘ არგენტინისა და ბელგიის ნაკრები გუნდების ნახევარფინალური (მატჩიდან. ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ამ მორიგ შეხვედრაში კვლავ თავი ისახელა არგენტინელმა დიეგო მარადონამ. მან ისევე, როგორც ფრანგებთან მატჩში, ამჯერადაც მეტოქეთა კარში ორი ბურთი გაიტანა. ამ სურათზე ის მომენტია აღბეჭდილი, როცა მარადონასთან (№ 10) ბიდალში ვერაფერი გააწყვეს ვერც ბელგიელმა მცველებმა და ვერც მეკარე პფაფმა.

ᲡᲐᲥᲐᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡᲐᲓ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲜᲔᲜ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ქონების, სახალხო დოვლათის მითვისება ცხოვრების წესად გიიხდეს თელავის რაიონის სოფელ თელიანის ღვინის ქარხანაში მოკალთებულმა ბოროტმოქმედებმა წარმოების უფროსის ნ. დარჩაშვილის მეთაურობით.

წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ისინი წერდნენ ყალბ ქვითრებს თითქოს მოსახლეობისგან შესყიდული ყურძნის ჩაბარების შესახებ.

ამგვარ და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედობათა შედეგად მათ დიდძალი თანხა მითვისეს. მაგრამ, როგორც ეტყვიან, კოკა წყალზე გატყდა, ბოროტმოქმედებს დანაშაულზე წაასწრეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა ღვინის ქარხნის თანამშრომლების ნ. დარჩაშვილს, ტ. კორკოტაშვილს, ა. ჩაჩხიანის, თ. სეიმონიშვილს, კ. გოგებაშვილს, ა. ნინოშვილს, ა. მეგუთნიშვილს სისხლის სამართლის საქმე, დამნაშავედ ცნო ისინი და მიუსაჯა სხვადასხვა ვადის — 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲛᲣᲘᲓᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

29 ᲓᲐ 30 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ რესპუბლიკის ვაჭრობის საწარმოები იმუშავებენ ორი-ოთხი საათის განმავლობაში.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო მყიდველებო!

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ᲪᲙᲙᲨᲘ.

რედაქტორის მოადგილე
Დ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲮᲘᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — ჩვენს დიდ სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კლაიპედა“. 10.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ფინალი. 11.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის: „ცისკარა“: მხატვრული ფილმი „ეი, თქვენ კოვბოვნო“. 12.40 — „ვერნისაჟი“. საგამოფენო დარბაზებში (განმეორებით). 13.35 — საინფორმაციო გამოშვება. 13.50 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 14.20 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“ (განმეორებით). 15.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საუკუნის ძახილი“. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.20 — „სამორინე“. საშაადრაკო ჟურნალი. 16.50 — „ჩვენი გადაცემების კვალდაკვალ“. 17.20 — მოსწავლეთათვის. „ჩვენ ვხატავთ“. 17.45 — „საპოვნელა“. 18.15 — „ახალი წიგნები“. 18.45—„საერთაშორისო დღიური“. 19.15 — „რედაქციაში წერილი მოვიდა“. 19.45 — „სტუდიაშია რეტორი“ (გადაცემა მეშვიდე). 20.00 — მოამბე. 20.30 — „ჩვენი პრემიერა“. ა. ჩხაიძე. „ჩინარის მანიფესტი“. სატელევიზიო სპექტაკლი. I ნაწილი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ა. ჩხაიძე „ჩინარის მანიფესტი“. სატელევიზიო სპექტაკლი. II ნაწილი. 23.50 — ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (მ.).

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „პატიოსანი სიტყვა“. 17.45 — დოკუმენტური ფილმი „მშვიდობა ჩვენს სახლში“. 18.45 — საბავშვო-იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — „საერთაშორისო დღიური“ (განმეორებით). 10.40 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ემაწვილები სამყაროში“. 12.00 — „ვეიაციის ინფინერთა სამეფოლო“. (განმეორებით). 12.20 — დოკუმენტური ფილმები „მარიამ ერმოლოვა“ და „მუსორგსკი. წინ ახალ ნაპირებთან“. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — დოკუმენტური ფილმი „იპოვე შენი ადგილი“. 17.15 — განცხადებები. 17.20 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.40 — კონცერტი „უკრავს თ. ახობაძე“. 18.05 — „ერთად და ახლავე“. გაგაზელი მეზვერე. 18.25 — ახალგაზრდობისათვის.. „დიდი გზის დასაწყისი“ (სკოლის კურსდამთავრებულთა შეხვედრა). 19.45 — „სტუდიაშია რეტორი“ (გადაცემა მერვე). 20.00 — მოამბე. 20.35 — კალათბურთის სატელევიზიო სკოლა (კალათბურთის მსოფლიო ვარსკვლავები). 21.40 — კინოჟურნალი. 21.50 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — მედეა ჯაფარიძე.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „ჩრდილოეთის ფლოტის იუნგა“. 18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემს თავზე ვიღებ“. 18.30 — დოკუმენტური ფილმი „პირველი სამედიცინო დახმარების რაზმი“.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 16.20 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.30 — მათემატიკის ‘ტესტურსი. 17.00 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დაღამებიდან გათენებამდე“. 17.30 — განცხადებები. 17.35— მოსწავლეთათვის. „ჯადოსნური სალებავი“. 18.00 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „ცვლა“. 18.35 — „სტუდია დიალოგი“ (ავტოინსპექციის 50 წლისთავის გამო). 19.15 — „საბჭოთა კავშირის მწერალთა VII ყრილობა“ (მ.). 19.45 — მოამბე. 20.20 — ახალგაზრდობისათვის. „გაუმარჯოს გულახდილობას!“. 21.00 — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ჩვენი სტუმარია კიევის ფრანკოს სახელობის თეატრი“. 23.00 — პოეზიის საღამო ფილარმონიაში.

მეორე პროგრამა. 16.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ლიმა — დაგიწყებული მეგობარი“. 17.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფერთა სიმფონია“. 18.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მონოლოგები სიყვარულზე“.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 3 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — ჩვენს დიდ სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კონშუტადი“. 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „აუტანელი ბავშვები“ (ქართულ ენაზე). 11.40 — „ბალეტის მოყვარულთათვის“. მაია პლისეცკაია (განმეორებით). 13.00 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „მოგთხრობთ პროფესიაზე“. მწყემსი (განმეორებით). 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — დოკუმენტური ფილმი. 17.45— განცხადებები. 17.50 — ახალგაზრდობისათვის „საუბარი მეტალურგიაზე“ (განმეორებით). 18.25 — „საუნჯე“ (გერმ-ნეარსის მუზეუმ-ნაკრძალი). 19.05 — „მარად საჭირო ხელოვნება“. 19.40 — „სტუდიაშია რეტორი“ (გადაცემა მეცხრე). 20.00 — მოამბე. 20.35 — „წესრიგი ყველგან და ყველაფერში“ (კანონი უშრომელი შემოსავლის შესახებ). 20.55 — „ყვავილების დღესასწაული“. 21.45 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა“. მხატვრული ფილმი „ლეიტენანტ კლიმოვის სიმართლე“.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „ვიტიაზე, მაშაზე და საზღვარ ქვეითს ჯარზე“. 17.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ციტლომის უფლება“. და „პაღების პოეზია“. 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმი.

ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ, 4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — ჩვენს დიდ სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეკონომიკა ყველა ჩვენგანის საზრუნავია“. 17.25 — „ჩვენი სტუმრები“. ანსამბლი „ალალამბური“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). 18.00 — საკვირაო გამოფენა. 18.05 — „ადგილობრივი კურორტები. პრობლემები, პერსპექტივები“. 18.55 — საკვირაო გამოფენა. 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.). 19.45—„ზღაპრის გუდა“. 20.00 — მოამბე. 20.35 — კონცერტი. „უკრავს ნანა იაშვილი“. 21.00 — კეთილი ნების ასპარეზობა (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.45 — კეთილი ნების ასპარეზობა (მ.). 23.45 — კეთილი ნების ასპარეზობის დღიური (მ.).

ᲙᲕᲘᲠᲐ, 6 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს ბაკურიანი. ბავშვებისათვის „ცისკარა“. მულტიპლიკაციური ფილმი და ქართული დოკუმენტური ფილმი „ლაბტის გაკვეთილი“. 11.00—„მულტიპანორამა“. 12.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.05 — „ეგეგეჭკორის მუსიკალური ფოლკლორი“. 12.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.00 — კეთილი ნების ასპარეზობა (მ.). 16.30 — საინფორმაციო გამოშვება. 16.40 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.45 — „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.30 — „ახალგაზრდული შეხვედრები“ (შეხვედრა პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ახალგაზრდებთან). 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი — „ალდარ ქოსა“. 18.15 — ეთერ ჭელიძის სიმღერები. 18.50 — პოეზიის ხუთი წუთი. 18.55 — მოამბე. 19.30 — კეთილი ნების ასპარეზობა (მ.). 20.45 — „რჩევა-დარიგება ახალგაზრდა დედებს“ (კასპის რაიონის ტელემაყურებელთა თხოვნით). 21.00 — კეთილი ნების ასპარეზობა (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.30 — კეთილი ნების ასპარეზობის საზეიმო განსა — ტრანსლაცია ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონიდან (მ.). 0.30 — კეთილი ნების ასპარეზობის დღიური (მ.).

ᲙᲕᲘᲠᲐ, 7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრ